

# 6

## ქართული ლიტერატურა


მოსწავლის წიგნი  
ნაწილი II

**ნინო გორდეჯაძე**  
**გვანცა ჩხენკელი**  
**თინათინ კუხიანიძე**



გაკურს სულაკაურის  
გამომცემლობა

გრიფინიჭებულია საქართველოს  
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და  
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.



## თავი 7.

ვაჟა-ფშაველას სამყარო .....	6
შელის ნუკრის ნაამბობი .....	7
თეორია. პერსონაჟი .....	17

## თავი 8.

დიდი წიგნები .....	18
ვეფხისტყაოსანი .....	19
ამბავი როსტევან არაბთა მეფისა .....	20
როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა, ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა .....	25
„ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები .....	29
თეორია. ფუნქციური ტექსტები .....	31

## თავი 9.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან .....	34
ქართული სალიტერატურო ენა და ილია ჭავჭავაძე (ფრაგმენტი სამეცნიერო სტატიიდან) ზურაბ ჭუმბურიძე .....	35
მეოცე საუკუნეში შექმნილი ქართული ტერმინები და გიორგი ნიკოლაძე .....	39
თეორია. არქაიზმები და ნეოლოგიზმები .....	41



## თავი 10.

<b>ჩემი თბილისი</b> .....	42
თბილისის ისტორია. ....	43
<b>* * *</b> (რუსთველის პროსპექტზე სიარული) <i>ლადო ასათიანი</i> .....	49
სადლეგრძელო იყოს მისი <i>გალაკტიონ ტაბიძე</i> .....	50
გაზაფხულის დღესასწაული .....	51
ლურჯი სუფრა .....	51
მუშთაიდი .....	52
„ზეპირი გაზეთები“ ძველ თბილისში .....	53
პანსიონები და გიმნაზიები .....	54
ტრანსპორტი .....	55
<b>თეორია.</b> ტექსტის გასწორება .....	57



## თავი 11.

<b>თარგმნის ხელოვნება</b> .....	59
ტომის დასჯა (ნაწყვეტი წიგნიდან „ტომ სოიერის თავგადასავალი“) <i>მარკ ტვენი</i> .....	60
<b>თეორია.</b> თარგმანი .....	63
ჩემი პირველი თავი (ნაწყვეტი წიგნიდან „ბალადა გატეხილ ცხვირზე“) <i>არნე სვინგენი</i> .....	64
ბართოლომე ქათლის საექვო გაუჩინარება (ნაწყვეტი წიგნიდან „ხოჭო ბიჭი“) <i>მაია გაბრიელ ლეონარდი</i> .....	68



## თავი 12.

<b>ერთი კაცის თავგადასავალი</b> .....	71
იოთამ ზედგინიძის თავდადება (ისტორიული მოთხრობა) <i>იაკობ გოგებაშვილი</i> .....	72
სახელმძღვანელოს ლექსიკონი .....	77
ლექსიკონი „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტისათვის .....	81



შოთა რუსთაველი



ვაჟა-ფშაველა



ილია ჭავჭავაძე



იაკობ გოგებაშვილი




ლადო ასათიანი

# თავი

# 7

მე-



## ვაჟა-ფშაველას სამყარო

ვაჟა, ჩვეულებრივ, მშვიდი, ბავშვით გულჩვილი და მგრძნობიარე იყო – ნაამბობზეც კი აუჩუყდებოდა გული და ცრემლი მოადგებოდა ხოლმე თვალზე. მხოლოდ ასეთი გულის პატრონს შეეძლო დაეწერა: „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ქუჩი“, „ხმელი ნიფელი“...

თამაზ ჩხენკელი

## ამ შაისსავლი...

● შვლის ნუკრის ნაამბობი  
თეორია. პერსონაჟი


### თემის შესავალი

- ვაჟა-ფშაველას რომელი ნაწარმოები წაგიკითხავს?
- რაზეა ეს ნაწარმოები?
- რა იცი ამ ავტორის შესახებ? (სად ცხოვრობდა, რა თემაზე წერდა...)


ალბათ, გახსოვს, რომ ვაჟა-ფშაველა ფსევდონიმია. პოეტის ნამდვილი სახელი და გვარია ლუკა რაზიკაშვილი. იგი საქართველოს მთიან მხარეში, ფშავეში დაიბადა და მისი ფსევდონიმიც სწორედ აქედან მოდის. ვაჟა-ფშაველა ბავშვობიდან ეზიარა ქართულ ხალხურ პოეზიას. პოეტის მამა – პავლე ქართული წიგნის დიდი მოყვარული იყო. მას სახლში ასეთი გართობა შემოუღია: სამუშაო დღის შემდეგ, საღამოობით, ოჯახის წევრები მიუსხდებოდნენ ბუხარს და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს თქმულებების, ზღაპრების, ანდაზების თქმაში. მსჯელობდნენ, უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს მონათხრობის შესახებ. კითხულობდნენ წიგნებს. ვაჟა-ფშაველა ბავშვობიდან ასეთ გარემოში იზრდებოდა.

**დავლება**

კლასში იმსჯელეთ, რას ფიქრობთ ასეთ გართობაზე. ისაუბრეთ, თავად თქვენ როგორ ერთობით.



ვაჟა-ფშაველა ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა 1861 წელს ფშავეში, სოფელ ჩარგალში. დაკრძალულია მთაწმინდაზე.



ვაჟა-ფშაველა ჩარგალში ცხოვრობდა და, როგორც ცნობილია, თავისი ნაწერები თბილისში დროდადრო ხურჯინით ჩამოჰქონდა.

საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველსა და მნახველზე ვაჟას მწირი საცხოვრებელი გარემო, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, მისი მდიდარი სულიერი სამყარო, დიდი მემკვიდრეობა.



ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი



ვაჟა-ფშაველა ოჯახთან ერთად



**ბემბი**  
(მულტიპლიკაციური  
ფილმი)

## შვლის ნუკრის ნაამბობი

I

პანანა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი. ტანზედ მაცვია პატარა, მოკლებენვიანი, თეთრი თვლებით მოწინკლული თხელი ქათიბი\*. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამმაგრებია.

გზადაკარგული დავდივარ. აი, დახედეთ ჩემს სისხლიან ფეხსა, – ეს, წყლის დასალევად რომ ჩავედი ხევში, მაშინ ვიტკინე... გული მიწუხს... გული... საბრალო დედაჩემი! სანამ დედა მყავდა ცოცხალი, სულ ალერსში ვყავდი: ძუძუს მანოვებდა, მიაღერებდა, მაფრთხილებდა. რაღა მეშველება მე საბრალოს ახლა! ძუძუს აღარა ვწოვ, მხოლოდ ბალახის ნამსა ვსუტავ\* დილით და საღამოთი, როდესაც ნამია, და რძის ნდომას იმითი ვიკლავ. უპატრონო რომ ვარ, სულ მეშინია, ვკანკალებ, მუდამდღე სიკვდილს ველი, გზაარეული დავეხეტები... ღმერთო, რამდენი მტერი გვყავს!

წელან ველის პირას გავედი დაღონებული... იქით-აქეთ თვალს ვავლებდი. უცებ ჩემს თავზე ჭეჭა გაისმა. ავიხედე მაღლა: მხრებშეკუმშული, ნისკარტდაღებული, უზარმაზარი ლეგა ფრინველი მოდიოდა პირდაპირ ჩემკენ. მე, შეშინებული, ტყეში გადავხტი. წამოვიდა ის წყეული ფრინველი, ტანი ველარ შეიმაგრა და ჩემს ნადგომ ადგილს დაეცა. ჟრუანტელი მივლის, როდესაც იმისი მოკაკეული ნისკარტი და ალმასივით ბრჭყალები მაგონდება. პირდაპირ მოვიდა და, იქ რომ არ დავხვდი, ბალახებზე და მაცვლოვანზე მხრებით ტყლაშუნი გაადინა. მიავლ-მოავლო საზარელი ყვითელი თვალეზი, ეწყინა ჩემი გაქცევა, აინია, ძლივს განთავისუფლდა, კინალამ მაცვლებში ჩაება. მე ერთ ხეს ვეფარე და იქიდან გულის ფანცქალით ცალი თვალით გავყურებდი.

გენაცვალე, ტყეო! შენ ბევრს მშველი, თორემ აქამდის ჩემი ქათიბის ბენვიც არ იქნებოდა! გული მეუბნება, რომ მტრის მსხვერპლად გავხდები. ჯერ მე გამოუცდელი ვარ, მხოლოდ ერთი კვირა ვიყავი დედასთან. ის მასწავლიდა, ვინ იყო ჩემი მტერი და ვინ – მოკეთე. ახლა ვინლა მასწავლის? სულ შამბში ვწვები, ვიმალები, მუმლისა\* და კოლოებისაგან მოსვენება აღარა მაქვს. დედასთან კარგად ვცხოვრობდი, თავისუფლად ვსუნთქავდი...

მე და დედაჩემი, აგერ ტყიანი სერი რომ წამოწოლილა და აქეთ-იქით ხევეები ჩაუდის, იქ ვცხოვრობდით, მუდამ დაჩრდილულნი დაბურული ტყით; უხვედრი\* იყო ჩვენი ბინა. დედაჩემი დანვებოდა ხოლმე გორაკზე, მე გვერდით მოვუნვებოდი. სამივე მხრიდან ხეები გვეფარა, მეოთხეს თვითონ გაიყურებოდა. ხანდახან ყურებს დააცქევტდა, მე შევეყურებდი და ვბაძავდი იმის ქცევას, ჩემს პატარა ყურებსაც ავცქევტდი. სამჯერ უჩვეულო ხმაურობა შემოგვესმა: ის არა ჰგავდა არც წყლის ჩქრიალს, რომელიც მუდამ მესმის, არც შაშვის ფაჩუნს, არც კოდალას რაკუნს, არც კიდევ ხმელი ხის წვერიდან ჩამოვარდნილ ტოტის რახუნს და არც ნიავისაგან გაშრიალებულ



ფოთლების ხმას... ეს შევნიშნე მე: რანამს ამ უცხო ხმას გაიგონებდა დედაჩემი, ზე წამოვარდებოდა და მეტყოდა:

– შვილო! მომყე, მე მომყეო!..

გაიქცეოდა და მეც მივხტოდი, რაც ძალი და ღონე მექონდა; არც ვიცოდი და არც მესმოდა, თუ ვის უფრთხოდა. ახლა კი ვიცი... ოჰ! რამდენი მტერი გვყავს! ოჰ, ადამიანო!.. რატომ არ გებრალეები მე, პატარა! რატომ არ მაძლევ თავისუფლებას, რომ გულდასვენებულმა თავისუფლად ვიარო, ვთელო ლამაზი მწვანე ბალახი, გადავდგე სერზე და დავტკბე სალამოს სიოთი?! ვერ გავცილებივარ ტყეს. თუ გავედი ველად, უნდა ტყის პირს არ მოვცილდე, – მაშინაც ნახევარი სიცოცხლე მაკლდება! სულ აქეთ-იქით უნდა ვიყურო, ვეფარო ხეებს, კლდეებს, ბალახებსა და კანკალით ვჭამო საჭმელი, შიშისაგან ზეზეურად უნდა დავდნე!.. რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი, რას? რა დაგიშავა საბრალო დედაჩემმა, რა შეგისვა, რა შეგიჭამა, რომ მოჰკალი და უპატრონოდ დამაგდე, დამაობლე?! ოჰ, ადამიანებო! თქვენს ხერხსა და ღონეზე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვთ... არა გრძნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არა გრძნობთ თქვენი შეუბრალებელი გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება; ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრიალი, რომელსაც სულგანაბული ეგრე ხშირად ყურს ვუგდებ ხოლმე, ბალახის ბიბინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნავარდობა... შენ კი, ოჰ, ადამიანო!.. თვალეზისხლიანებული, გაფაციცებული დამეძებ მე და ჩემ ფერს სუსტსა და უპატრონოს ათას სხვას... იარაღი გაქვს, მოგვეპარები, მუხთლად გვკრავ ტყვიას და გამოგვასალმებ წუთისოფელს...

### ტექსტის შინაარსი

1. ვინ არის ვაჟა-ფშაველას მოთხრობის მთავარი პერსონაჟი? რომელ პირში გვიყვება მწერალი ამბავს, რას ანიჭებს ამით ნაწარმოებს?
2. როგორი დამოკიდებულება აქვს ნუკრს ტყის მიმართ? იპოვე ტექსტში ეს მონაკვეთი.
3. რამ დაუსისხლიანა ნუკრს ფეხები?
4. რით იკლავს რძის სურვილს შვლის ნუკრი?
5. რის ეშინია ობოლ ნუკრს?
6. „მხრებშეკუმშული, ნისკარტდაღებული, უზარმაზარი ლეგა ფრინველი მოდიოდა პირდაპირ ჩემკენ“. რომელ ფრინველს აღწერს ნუკრი?
7. სად აფარებს თავს ნუკრი საფრთხეს, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ელის მას?
8. რა არის ნუკრის უბედურების მთავარი მიზეზი?
9. ვინ უფრთხობს ნუკრს სიმშვიდეს? ვის და რას საყვედურობს იგი?

### მოძებნე ტექსტში

10. როგორი წარმოუდგენია ნუკრს თავისუფლება? მოძებნე ის ადგილი, სადაც ჩანს მისი დამოკიდებულება თავისუფალი, ლალი ცხოვრებისადმი.
11. მოძებნე ტექსტში ეპიზოდები, რომლებშიც ნუკრი დედასთან ერთად შექცნილ გამოცდილებას გვიამბობს.

### იმსჯელე

12. ამ ნაწარმოების პირველივე ფრაზა „პანანა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრძოვა: ცუდ დროს დავობლდი...“
  - ა) რა განწყობას უქმნის მკითხველს?
  - ბ) რას მოელის მკითხველი?
13. როგორი წარმოდგენა აქვს ნუკრს ადამიანებზე? ეთანხმები თუ არა მის ამ მოსაზრებას? რატომ?

### დანერე

14. აღწერე ნუკრი პირველი აბზაცის მიხედვით.

## II

როგორ არ უნდა მეშინოდეს?.. ჯერ სულ ერთი კვირაა, რაც მე წუთი-სოფელს ვხედავ, და რამდენი შიში და ვაება გამოვიარე! გუშინწინ წვიმიანი დღე იყო. სიცოცხლითა და სიმშვენიერით აღსავსე დედაჩემი წიფლის გვერდზე იდგა და გემრიელად იცოხნებოდა... მეც გვერდით ვედექი, მიხაროდა დედასთან დგომა. მტერი და სიკვდილი არც კი მაგონებოდა დედის იმედით. ხშირი ფოთლებიდან წვიმის ნამი კამკამით ჩამოდიოდა... მე თავს ვუშვერდი, რომ სასიამოვნო წვეთებს გავეგრილებინე.

– არ გიამა, შვილო? – მკითხავდა დედა.

მე თავს ვუქნევდი და ვხტოდი, ხან ძუძუებში ვბურჩნიდი\*.

ჩვენ წინ ერთ ხმელ ხეს გარშემო კოდალა ევლებოდა და ისე მაგრა უკაკუნებდა, რომ მიკვირდა, – დედაჩემი ამოდენაა და არ შეუძლია ეგრე ტყის გახმაურება, როგორც ამ პატარა ჩიტს-მეთქი! უვლიდა გარშემო ხეს ფეხების ფხაკუნით და ხან ერთსა და ხან მეორე ადგილას ჩაჰკრავდა ნისკარტს... კოდალას ცელქობას მე სიხარულით შევყურებდი; უცებ „ჩხი!“ „ჩხი!“ მომესმა. მივიხედე გვერდზე: თავზე ერთი ჩხიკვი გვევლებოდა.

– თავი მომაფარეო, – მითხრა დედაჩემმა, – თორემ ჩხიკვი თვალებს დაგთხრისო!..

მე თავი მოვაფარე. დედაჩემი იგერიებდა თავით იმ საძაგელს. ჩხიკვი ჩემკენ ინევდა; ბევრი იცოდვილა, მერე დაგვანება თავი, თავმოკატუნებულნი ფლის ტოტზე შესკუბდა და მოჰყვა კნავილს. იმის ხმა სწორედ ჩემს ხმასა ჰგვანდა, დედას გაეცინა და მითხრა:

– დიდი ეშმაკი რამეა, შვილო, ეგ ჩხიკვი, გაუფრთხილდი!.. შენისთანა პატარა ნუკრებს ძლიერ ემტერება, შვილო... კრუსუნსა და კნავილს მოჰყვება და, ახლომახლო რომ შენისთანა ბრიყვი და გამოუცდელი ნუკრი შეხვდეს, ბანს მისცემს, გადასძახებს. მაგასაც ის უნდა: მიახტება და თვალებს გამოსჩიჩქნის...

მე ტანში ჟრუანტელმა დამიარა...

– ხმასაც არ გავცემ, დავემალეები მაშინათვე!

– ჰო, ეგრე, ეგრე, შვილო! მანამ დედა ცოცხალი გყავს, ნუ შეგეშინდება; როცა მე აღარ გეყოლები, მაშინ სიფრთხილე გმართებს!

ოჰ, რამდენი გამოცდილება მაკლია ჯერ კიდევ მე, საცოდავსა!..

### III

ერთხელ ძლიერ დაცხა. დედაჩემი სანოლიდან ადგა და მითხრა, წყალზე წავიდეთო. წავედით, დავეყვით წვრილიან სერს, ჩავიარეთ შამბზე და ჩავედით ხევში. ხევი ღრმა იყო, მზის სხივები ვერ ჩასწვდომოდა, აქეთ-იქით ნაპირებზე ხეები ერთმანეთზე გადაკვანძულიყო წვერებით. ხის ძირებზე, იქვე, ხევის პირად, ჟოლოს ფესვები იყო ამოსული, წითლად თავი დაეხარათ და გადმოჰყურებდნენ წყლის დენას. ცივი, ანკარა ხევი მოჩუხჩუხებდა გალიპულ ქვებზე, ერთი კლდიდან მეორეზე გადადიოდა და გუბდებოდა. დედაჩემი მივიდა და ჩადგა შიგ გუბეში. მე ძლივს დავდიოდი ქვებზე, ჩლიქები მტკიოდა.

– მოდი, შვილო, ჩადექ წყალში. საამურია სიცხეში წყალში დგომა.


მე მივედი და კრძალვით ჩავდგი ჯერ ერთი ფეხი; წყალი საშინლად ცივი იყო და გადმოვხტი ისევ უკან.

– ცივია, არ შემიძლია დგომა.

– არაფერი გიშავს, უნდა ახლავე შეეჩვიო, შვილო!

ცოტა ხანი დავდექი წყალში და მერე გამოვბრუნდით უკან. ჩვენ ზევით ნაკაფიანებში ხმაურობა ისმოდა.

– ეგ საშიში ხალხი არ არის, – მითხრა დედამ, – ერთი დედაკაცი და



პატარა ბაღლია. ჩვენი მტერი ეგრე არა ყვირის. ჩვენ მაინც სიფრთხილე გვმართებს: ესე წვრილიანზე ავიაროთ, ველის პირად ნუ გამოვჩნდებით, ნუ დავენახვებით.

დედაჩემი წინ წავიდა. მე გულმა არ მომიტმინა და გავხედე; ტანი დავმალე, მხოლოდ თავი გამოვაჩინე. ამ დროს ქვევიდან ხმა მომესმა:

- ვაი, ვაი, დედილო, მგელი, მგელი!
- ნუ გეშინიან, შვილო, გენაცვალე. აბა სად არის, დამანახვეო? – ჰკითხავდა დედა.
- აგე, ყურები არ გადმოუცქვევტია, ადამიანო, ტყიდან! – თვალცრემლიანი

უჩვენებდა ბავშვი თითით ჩემზე.

– უი, შენ კი გენაცვალოს დედა, მგელი კი არ არის, შვლის ნუკრია, შვილო! ქა, რა ლამაზია!

– დავიჭიროთ, შენი ჭირიმეო, – ეუბნებოდა პატარა დედას და თან მოუთმენლად ემზადებოდა ჩემკენ გამოსაქცევად.

– არა, გენაცვალოს დედა, ცოდოა, შვილო, როგორ იქნება, განა მაგას არ ჰყავს დედა! ხომ უნდა იტიროს იმან თავის შვილზე!

მე სულგანაბული ყურს ვუგდებდი და მიამა, რომ გავიგონე ერთადერთი სიტყვა ჩვენი შებრალებისა. მე კიდევ მინდოდა ყური მეგდო, მაგრამ დედაჩემი დაბრუნებულიყო, მოირბინა და მითხრა:

– ჰაი, შე ბრიყვო, გჯერა, რასაც ეგენი ამბობენ?! რას უყურებ იქა? წავიდეთ ჩქარა, მომყე! ეგენი წავლენ, ასწავლიან მონადირეს ჩვენს ბინას და გამოგვასალმებენ სიცოცხლეს.

საბრალო დედაჩემი წინადავე გრძნობდა, რომ ისე იქნებოდა.

### ტექსტის შინაარსი

1. რით აოცებდა კოდალა ნუკრს?
2. რა თვისება ჰქონია ჩხიკვს? როგორ იტყუებს მსხვერპლს?
3. იპოვე ტექსტში ხვევის წყლის აღწერა.
4. შეაფასე სახელმძღვანელოს ამ ნაწილის ილუსტრაცია. რომელი ეპიზოდი შეარჩია მხატვარმა?
5. რა მსგავსებაა დედა-შვილსა და შველსა და ნუკრს შორის?
6. რამ განაწყო ნუკრი ადამიანების მიმართ ნდობით?

### იმსჯელე

7. შველი დედა-შვილს არ თვლის მტრებად, თუმცა თავს არიდებს მათ. ნუკრის აზრით, დედამის წინათგრძნობა ჰქონდა და ამიტომ სიფრთხილეს იჩენდა.

რისი ემინოდა შველს? რა უნდა იწინასწარმეტყველოს მკითხველმა ამ მინიშნებით?

### მოძებნე ტექსტში

8. ამოიწერე ეპითეტები I და II თავებიდან არსებით სახელებთან ერთად; შემდეგ კი ვაჟა-ფშაველასეული ეპითეტები შეცვალე სინონიმებით.

### ენა

9. იპოვე ნაცვალსახელები და განმარტე, რომელ ჯგუფს მიეკუთვნება:  
„დიდი ეშმაკი რამეა, შვილო, ეგ ჩხიკვი, გაუფრთხილდი!.. დედაჩემი იგერებდა იმ საძაგელს... მე შევყურებდი და ვბაძავდი იმის ქცევას, ჩემს პატარა ყურებსაც ავცქვევდი... ოჰ, რამდენი გამოცდილება მაკლია ჯერ კიდევ მე, საცოდავსა!..“

## IV

შეკუნტრუშდა დედაჩემი, შევკუნტრუშდი მეც და გავწიეთ ზევითკენ სკუპ-სკუპით. სულ ბოლო დროს მხოლოდ ესლა გავიგონე: „უი, დედაც იქა ჰყოლიაო!“

შევუდექით შამბიან, ბუერიან გვერდობს, ბუერის\* ძირები ცივი წყაროებით იყო მორწყული. აქა-იქ ლაფზე ეტყობოდა ჩემსაებრ პატარა ნუკრის ნაფეხურები. საშინლად ცხელოდა. ვწუხდით. დავწექით ბუერებში. იმის განიერი ფოთლები არ გვაკარებდნენ მწვავე მზის სხივებს. უცებ გარშემო შემორტყმული მთების წვერებიდან ამოცვივდნენ ღრუბლები, შეიყარნენ ერთად. ცამ დაიგრიალა, იჭექა, ელვა გაიკლაკნა.

წვიმა სვეტ-სვეტად ჩამოდგა გაღმა სერებზე, მალე ჩვენ გარშემოც ხის ფოთლებსა და ნამეტნავად ბუერებზე დაიწყო ტლაშატლუში. ისეთი ხმაურობა დადგა, თითქოს ტყე და მთა-ბარი იქცეოდა. ყველა სულდგმულმა ხმა გაკმინდა: ჩიტები ველარ ბედავდნენ ჭიკჭიკს, ცელქობას... საძაგელი ჩხიკვი, რომელიც ისე მაშინებდა წინათ, ახლა სრულებით არ მეჩვენა ისე საზარელი; დამჯდარიყო წიფლის შიმელაზე, მიეხუჭა თვალები და ნისკარტიდან ცინგლი ჩამოსდიოდა, მხრები საცოდავად ჩამოეშვა. იმის ახლო იჯდა გულწითელი ჩიტი, „წიფლისჩიტა“, უწყინარი, უვნებელი ლაბუა\*. მშვენივრად მიეხუჭა თვალები! მოფრინდა „წიპრანა“ და „წრიპ, წრიპ!“ შესძახა. ჩხიკვს შეეშინდა, გაახილა თვალები, გაუსკდა გული, მიასკდა ხან იქით, ხან აქეთ, უშნო „ჩხიი, ჩხის!“ ძახილით. მე გამეცინა. წინათ ყველაზე ღონიერი ის მეგონა, ახლა კი გავიგე, რაც შვილი ბრძანებულა.

დაიქუხა. ჩიტებმა მორთეს ერთხმად სიმღერა. ბალახებმა და ხის ფოთლებმა სიხარულის ცრემლს დაუწყეს ფრქვევა. დედაჩემს ნაწვიმზე სიარული უყვარდა... წავიდოდა ველად და მეც თან გამიყოლიებდა. ეხლაც წავედით, შევუდექით ველის პირებს, გავწიეთ მთისკენ, ტკბილი ხმა ისმოდა სალამურისა. მთის ძირზე გაშლილიყო ცხვარი და ტკბილად ძოვდა ახლად დანამულ ბალახს. მზე გორის პირას იყო ჩამალული ნახევრამდე. იმისი მკრთალი სხივები მხოლოდ მთებისა და ტყის წვერებს ეთხოვებოდა.



გორის პირზე ზევით მხრივ იჯდა ნაბადნამოხვეული მეცხვარე და შეექცეოდა სალამურს. იმის გვერდით წამოყუნტებულიყო ბანჯგვლიანი, საზარელი შესახედავი ძაღლი; ცოცხლად აყოლებდა თვალს ცხვრის ფარას და ხანდახან აჩერდებოდა ალერსიანად თავის პატრონს.

– ცუდ ადგილას მოვედითო, – მითხრა დედაჩემმა, – მეცხვარე უიარაღოა, იმისი ნუ შეგეშინდება, მაგრამ ის ძაღლი დაიყრის ჩვენს სუნს და იქნება გამოგვეკიდოსო. მობრუნდი უკან. თვალი გეჭიროს: თუ ჩვენკენ გამოიქცა, მე დავენახვები და შენ ბალახებში ჩაიმალეო.

ჩვენს დანახვაზე ცხვარი დაფრთხა და დაიწყო ჩვენკენ ყურება. მე ხშირსა და დაბერებულის არჯაკელის გროვაში ჩავიმალე და არ ვაშორებდი თვალს იმ კუდბუთქა ძაღლს... ცხვრის დაფრთხოვა და ძაღლის ნკმუტუნი ერთი იყო. ცქვიტა ყურები და გამოექანა ჩემკენ...

მეცხვარემ დაგვცა კივილი. მე ავკანკალდი. დედაჩემს შეასწრო თვალი და გაექანა იმისკენ. დედაჩემი გასრიალდა და ერთ წამს დამეკარგა თვალიდან. ცრემლი მომერია, გული მომიკვდა: ვაიმე, დედავ, თუ დაგიჭიროს მაგ წყეულმა! დიდი ხანი მესმოდა ბრაგაბრუგი და ხევიდან ქვების ჩხრიალი.

ვაიმე, თუ დაიჭირა დედაჩემი და თავისი ალმასის კბილებით სწენს! დაბინდდა. მეცხვარემ მოუსტვინა ცხვარს და შეაყოლა ბინისაკენ. გულის ფანცქალით ვადევნებდი თვალს იმის მოძრაობას. საწყალ ცხვრებს სცემდა ზოგს დიდი კომბლით და ზოგს ქვებს ესროდა. ერთ პატარა ჩემოდენა ბატკანს მიარტყა ქვა. საბრალო წაიქცა და საცოდავად დაიწყო ფეხების ქნევა. მეცხვარე ავიდა ზევით და დაუნყო ძახილი „ყურშიას“. ცოტა ხნის შემდეგ, ცის ტატანზე\* დავინახე, რომ იმისი ყურშია, წითელენაგადმოგდებული, ედგა პატრონს გვერდით.

მე მეშინოდა: ვინ იცის, ჩემი დედის სისხლით აქვს-მეთქი გამურული ლაშ-პირი. დაბნელდა, დაუკუნეთდა. ხმაურობა აღარსაიდან ისმოდა. რა იქნა დედაჩემი? იქნება ველარ მიპოვოს, თუ ცოცხალია?

ცოტა ხანს შემდეგ ხავილი შემომესმა. დედაჩემის ხმასა ჰგავდა. მეც გავეხმაურე. საბრალო აფორიაქებული მოიჭრა ჩემთან.

– აქა ხარ, შვილო? ნუ გეშინია, შენი დედა ცოცხალია. ძაღლი და მგელი ვერაფერს დააკლებენ... ცოცხალი ხარო? – მკითხავდა.